

# ღამის ცხოვრება და კლუბური ნარკოტიკების მოხმარება

ადა ბესელია

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ადიქციის კვლევების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირმა კირთაძე, M.D., Ph.D(c)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ადა ბესელია

21.06.2018

## აბსტრაქტი

**შესავალი:** თანამედროვე სამყაროში ღამის ცხოვრება თამაშობს მნიშვნელოვან როლს ახალგაზრდების რეკრეაციისათვის. ღამის ცხოვრებასთან დაკავშირებული აქტივობები ხელს უწყობს სოციალური და ჯანმრთელობის პრობლემების ისეთი ფართო სპექტრის წარმოქმნას, როგორებიცაა: ალკოჰოლის და ნარკოტიკების მოხმარება და მოხმარებით გამოწვეული რისკის შემცველი ქცევები. კვლევები ადასტურებს, რომ ნარკოტიკების მოხმარება უფრო გავრცელებულია ღამის ცხოვრების გარემოცვაში, ვიდრე ზოგად მოსახლეობაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში გასული (2017) წლიდან ღამის გასართობ დაწესებულებებსა თუ ფესტივალებზე სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალებით ზედოზირების ფატალური შემთხვევების რაოდენობამ წინა წლებთან შედარებით იმატა, ქართული რეალობისთვის აღნიშნული პრობლემა დღემდე შეუსწავლელია.

მოცემული კვლევის მიზანია ღამის ცხოვრებაში არსებული ნარკოტიკების მოხმარების ტრენდებისა და გავრცელებული ქცევითი პატერნების აღწერა, მომხმარებლებში ზიანის შემცირების შესახებ არსებული ცოდნის შეფასება.

**მეთოდი:** კვლევისთვის შერჩეულ იქნა თვისებრივი მიდგომა - ჩატარდა 16 ჩაღრმავებული, ინდივიდუალური, პირისპირ ინტერვიუ. კვლევა ჩატარდა თბილისში. ინტერვიუების ჩაწერა მიმდინარეობდა ციფრული ხმოვანი ჩამწერის გამოყენებით. ჩანაწერების მიხედვით შესრულდა ტრანსკრიპტები (Word ფორმატში). შემდგომი ანალიზი შესრულდა თვისებრივი მონაცემების ანალიზისთვის მოწოდებული პროგრამა - Nvivo 10-ის გამოყენებით.

**შედეგები:** კვლევამ აჩვენა, რომ ვიზიტორებისთვის კლუბი ასოცირდება თავისუფალ სივრცესთან, რომელიც არის საუკეთესო გარემო სამუშაო კვირის ბოლოს განტვირთვისთვის. გარდა კლუბური ნარკოტიკების მოხმარებისა, კლუბების ვიზიტორებს შორის გამოიკვეთა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების (ე.წ. „ბიო“) მოხმარების ფაქტები. კვლევის შედეგად, ასევე, დადგინდა, რომ მომხმარებლები არ ეძებენ ინფორმაციას უსაფრთხო მოხმარების, ზედოზირებისა და ნარკოტიკების

ეფექტების შესახებ და აქვთ მხოლოდ ის მინიმალური ინფორმაცია, რასაც მეგობრები ან გამსაღებლები აწვდიან. კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიგნებაა ის, რომ მომხმარებლები ავლენენ სარისკო ქცევას, კლუბის ტერიტორიაზე უცნობისგან ხშირად უცნობი ნარკოტიკის აღებით.

**დასკვნები:** ღამის ცხოვრების გარემოცვა არის ერთ-ერთი საუკეთესო გარემო ახალგაზრდების სოციალიზაციისათვის, ნარკოტიკების ხელმისაწვდომობისა და მათი ექსპერიმენტებისათვის (ხშირად ალკოჰოლის მოხმარებასთან ერთად). ამიტომაც, განსაკუთრებით დიდია საჭიროება, რომ დაინერგოს მომხმარებლების დონეზე ფოკუსირებული ინტერვენციები. ასევე, აუცილებელია ღამის ცხოვრების დაწესებულებებში დაინერგოს პირველადი დახმარების და ზედოზირებით გამოწვეული სიკვდილის პრევენციული პროგრამები, რომლებიც, პერსონალის ტრენინგთან ერთად, მოიცავს გარემოსთან დაკავშირებულ სტრატეგიებს.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ღამის ცხოვრება, კლუბური ნარკოტიკები, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები, პრევენციული ინტერვენციები.

## **Abstract**

**Background:** Nightlife plays a major role in recreation of young people in the modern world. Drug and alcohol use in nightlife settings are linked to a range of health and social problems. These include drug and alcohol use related risky behavior. Surveys confirm that drug use is more prevalent in nightlife settings than in the general population. Although from the last (2017) year fatality cases from overdose in nightlife settings of Georgia have increased, there are no any studies focusing on these issues.

The study aims to describe trends and patterns which are widespread in nightlife settings of Georgia and assess the harm reduction knowledge of club drug users.

**Methods:** Qualitative method has been used, namely: 16 individual in-depth interviews were conducted in Tbilisi with people who use club drugs. All interviews were recorded on digital voice recorder, then transcribed and analyzed with the qualitative software Nvivo 10.

**Results:** Results showed that among club visitors the club is associated with the free space which is the best relaxation place on weekends. Club visitors use new psychoactive substances as well as other club drugs. People who use club drugs do not seek information about safe use, overdose prevention and acute effects of drug use. They have as much information as they hear from their friends or dealers. Pattern of risky behavior includes taking unknown drug from the unknown people in a territory of clubs.

**Conclusions:** Nightlife settings are one of the best environments for young people to socialize, experiment with drugs and have easy access to drugs. There is great need of harm reduction and overdose prevention interventions in nightlife settings of Georgia, including the club staff trainings and implementation of environmental strategies.

**Key Words:** Nightlife, Club drugs, New Psychoactive Substances, Prevention interventions.

## მადლობა

მადლობას ვუხდით თემის ხელმძღვანელს, ირმა კირთაძეს, კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისა და რეკომენდაციებისათვის.

მადლობას ვუხდით დამოკიდებულების კვლევითი ცენტრის „ალტერნატივა ჯორჯიას“ დირექტორს, დავით ოთიაშვილს, კვლევის პროცესის ხელშეწყობისთვის.

და ბოლოს, უდიდეს მადლიერებას გამოვხატავ ყველა იმ რესპონდენტის მიმართ, ვინც გამონახა დრო და მიიღო კვლევაში მონაწილეობა. მათი ნდობისა და წვლილის გარეშე წინამდებარე კვლევის განხორციელება შეუძლებელი გახდებოდა. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით კვლევის იმ მონაწილეებს, რომლებიც სხვა რესპონდენტების მოზიდვაში დაეხმარნენ.